

მედიაწიგნიერების ვებპორტალის განვითარება

მედიაწიგნიერების ვებპორტალის მეთოდოლოგიური მასალის შეგროვებამდე სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა ნოემბერში შეხვედრები გამართა თბილისის N81 საჯარო სკოლის, იტალიური სკოლა „ცისკრის“ და ქუთაისის N14 საჯარო სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან.

დამატებითი სამუშაო შეხვედრა პარტნიორ პედაგოგებთან თბილისში ჩატარდა.

პედაგოგების დასწრების მიხედვით თუ შევაფასებთ, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობისა და მოთხოვნილი მასალების მოწოდების სურვილი საკმაოდ დიდი იყო.

სკოლის პედაგოგებისათვის გამართულ პრეზენტაციებზე ყურადღება შემდეგ საკითხებზე გამახვილდა:

- ✓ რა არის მედიაწიგნიერება და რატომ არის ის მნიშვნელოვანი;
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები მედიაწიგნიერების კომპეტენციის ფარგლებში და არსებული სასწავლო პრაქტიკა;
- ✓ მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარების მეთოდოლოგიური მასალების მაგალითები.

პრეზენტაციის მეორე ნაწილი დაეთმო ვებპორტალისათვის მეთოდური მასალების მომზადების დეტალურ სახელმძღვანელოს. პედაგოგებმა მიიღეს მასალების შეფასების ზუსტი კრიტერიუმები. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო გაკვეთილის გეგმის შესაბამისობა საგნისა და მედიაწიგნიერების სტანდარტთან. დეტალურად გაწერილ გაკვეთილის გეგმას საშუალება უნდა მიეცა სხვა პედაგოგებისთვის, ჩაეტარებინათ მსგავსი გაკვეთილი. ყველა მასალა უნდა მომზადებულიყო ვებპორტალზე ასატვირთ ფორმატში. პედაგოგებს უნდა წარმოედგინათ ორიგინალური ნამუშევარი, რომელიც არ განთავსებულია ვებგვერდებზე და არც სხვა ფორმით გავრცელებულა პედაგოგებს შორის. მათ ორი კვირა მიეცათ მასალების მოსამზადებლად.

სულ შემოვიდა 47 მასალა. ყველა მასალა გასწორდა მინიმუმ ერთხელ. მასალების უმრავლესობა გასწორდა 2-3ჯერ. 17 მასალა დაწუნებულ იქნა და 30 - მივიღეთ.

ძირითადი შეცდომების ჩამონათვალი: არ ხდებოდა კონკრეტული ვიდეომასალისა თუ სხვა რესურსის მითითება გაკვეთილის გეგმაში, მასალა არ პასუხობდა მედიაწიგნიერების სტანდარტს, აკლდა დეტალები, რომელიც

სხვა პედაგოგებს საშუალებას მისცემდა, ჩაეტარებინათ გაკვეთილი და მიეღწიათ იმავე შედეგებისათვის.

მასალების თემები არ იყო შეზღუდული: ჯანსაღი კვება, ცნობილი ადგილების ისტორიები, საბანკო ისტორიები, საგზაო უსაფრთხოება, ომის დრო, პედაგოგების ხელფასები, წვიმა და მისი ეფექტები და ა.შ. მოწოდებულ მასალებს თან ერთვოდა ვიდეო, საგაზეთო სტატია, სურათი, კარიკატურა ან სხვა სახის მედიარესურსი.

მასალის მეშვეობით, მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებს სხვადასხვა თვალსაზრისი წარუდგინოს. მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ იმ კითხვებზე პასუხები, რომლებიც მასწავლებელმა მიაწოდა მათ. ზოგ შემთხვევაში, პასუხი რთულია, რადგან სხვადასხვა მედიარესურსის საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია ურთიერთსაპირისპიროა, სხვა შემთხვევებში კი ინფორმაციის მრავალი წყარო საშუალებას იძლევა, უფრო სრული სურათი შეიქმნას და კითხვებს პასუხი გაეცეს.

ქვემოთ მოცემულია შექმნილი მასალების რამოდენიმე ილუსტრაცია:

1) სამოქალაქო განათლება

გაკვეთილის საგანია ჰუმანიტარული სამართალი. მასწავლებელი ხსნის, თუ რა არის ჰუმანიტარული სამართალი და სვამს კითხვას, თუ როგორ უნდა დავიცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა ომის დროს. ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება მიუთითოს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კონვენციებზე. მასწავლებელი მოსწავლეებს შესაბამის კონვენციებს (ჟენევის კონვენცია) აძლევს წასაკითხად. ამის შემდეგ მოსწავლეებს გადაეცემათ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ფოტოები და მოსწავლეები არკვევენ, თუ რომელი კონვენციები დაირღვა, ამ ფოტოებიდან გამომდინარე.

მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა შედეგები მოჰყვება კონვენციის დარღვევას. მოსწავლეებს ევალებათ, შექმნან სლოგანი ან პლაკატი, სადაც გამოჩნდება მათი დამოკიდებულება ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებით.

2) ისტორია

გაკვეთილის თემაა - რეპრესიები საქართველოში. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ორ პლაკატს სტალინზე და უსვამს შემდეგ კითხვებს (სურათი 1.):

როდის და სად შეიქმნა პლაკატი?

როგორ აფასებს პლაკატი სტალინს?

ვინ არის პლაკატის აუდიტორია?

რა მიზანს ემსახურება პლაკატი?

როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს პლაკატი?

სურათი 1.

პოსტერი N1 „სტალინი - ბედნიერი
ცხოვრების შუქურა“



პოსტერი N2 „სტალინი - ადამიანთა
ბედის გამგებელი“



ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ერთი ოჯახის ტრაგედიას, რომელიც სტალინის რეჟიმმა გამოიწვია და ცნობილი ქართველი მხატვრის სურათს, რომელზეც საქართველოს ხედი და დემონსტრაციაა ასახული. ხალხს სტალინის სურათი უჭირავს. მოსწავლეები განიხილავენ ოჯახის ტრაგედიას და მხატვრის მოტივაციას, დაემატებინა სტალინი სცენარში.

3) ბუნებისმეტყველება ჯანსაღი კვება

გაკვეთილის თემაა ჯანსაღი კვება. მასწავლებელი აყურებინებს მოსწავლეებს სიმპსონების ვიდეოს (მე-16 სეზონი/ მე-17 ეპიზოდი)

სურათი 2

	სერიის მოკლე შინაარსი სკოლაში დგამენ სწრაფი კვების ავტომატებს. მოსწავლეები ბრმა სიხარულით მიირთმევენ ტკბილეულსა და გაზიან სასმელებს, რომლებსაც ავტომატი სთავაზობთ. მხოლოდ ერთი წარმატებული მოსწავლე დაინტერესდება პროდუქციის ვარგისიანობით. იგი ცდილობს, მეგობრებს გააგებინოს, რომ მათი საყვარელი სასუსნავეები მავნებელ, ზიანის მომტან ინგრედიენტებს შეიცავს. მას საკუთარი მსუნაგი ძმაც კი არ დაუჯერებს. ახლო მომავალში ბარტი (ერთ-ერთი აქტიური მომხმარებელი) საგანგაშო სიტუაციაში ვარდება: სუქდება, ემართება გულის შეტევა, მაგრამ ექიმის მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, ვეღარ ანებებს თავს სასუსნავეებს, რადგან ისინი ნარკოტიკივით შეჩვევის, დამოკიდებულების გამომწვევიცაა... ხანგრძლივი და ძვირი მკურნალობისა და ნებისყოფის დამაბვის შედეგად, ბიჭი განიკურნება და აპარატს ანადგურებს.
---	---

მოსწავლეებს ასევე ეძლევათ ტექსტი კოკა-კოლაზე და ჩიფსებზე, განიხილავენ მათ გავლენას ჯანმრთელობაზე. მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა ნივთიერებებს შეიცავს კოკა-კოლა და ჩიფსები.

მოსწავლეები უყურებენ ორ ვიდეოს. ერთი არის კოკა-კოლას საშობაო რეკლამა და მეორე - ჩიფსების რეკლამა, სადაც ცნობილი ფეხბურთელი მესი მონაწილეობს.

რეკლამის იდეაა, რომ ჩიფსები უფრო პოპულარულია, ვიდრე მესი.

<https://www.youtube.com/watch?v=TsxKBrZndy0>).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს მედიაწიგნიერების საკვანძო კითხვებს (ვინ არის ვიდეოს ავტორი? რა არის ვიდეოს მიზანი? ვინ არის ვიდეოს აუდიტორია?) საბოლოოდ, მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა პროდუქტებით უნდა იკვებონ და ქმნიან საკუთარ ვიდეოპრეზენტაციებს.

4) ქიმია

ქიმიის მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფოტომასალას და მიმართავს : დააკვირდით - ფოტოზე აღბეჭდილი ძეგლები დაზიანებულია, როგორ გგონიათ, რამ გამოიწვია მათი დაზიანება?

ამის შემდეგ მოსწავლეები უყურებენ რამდენიმე ვიდეოს: მაგალითად, ვიდეოს, სადაც ხეებს ჭრიან, რადგან ტყე დაავადებულია; ვიდეო, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ ვაწარმოებდით ენერგიას ძველ დროში და როგორ ვაწარმოებთ მას ახლა, რა გავლენა აქვს ამ ყველაფერს გარემოზე; შემდეგ მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს „სიკვდილი ჰაერიდან“, სადაც ნათქვამია, რომ მჟავა წვიმებს საზიანო შედეგი მოაქვს თანამედროვე ცხოვრებასა და ტექნოლოგიებზე. მოსწავლეები ასკვნიან, რომ მჟავა წვიმები უარყოფითად მოქმედებს ხეებზე, ისტორიულ ძეგლებზე და ა.შ.

მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები:

- რამ გამოიწვია საკურორტო ზონაში ხეების დაავადება, სადაც ჰაერი სუფთა უნდა იყოს?
- რამ გამოიწვია ტყის ფორმაციის დაზიანება და დაღუპვა ისეთ ადგილზე, სადაც არც ელექტროსადგურია და არც ავტობანები, მხოლოდ ბუნებაა?

მოსწავლის პასუხი : მჟავა წვიმებმა

ამჟამად ვებპორტალზე განთავსებულია პროექტის მონაწილეების მიერ შექმნილი 37 მეთოდოლოგიური მასალა, რომელიც განკუთვნილია პედაგოგებისთვის. მასალების ნახვა შესაძლებელია საიტზე www.medialiteracy.ge . საიტზე განთავსებულია უცხოელი პედაგოგების მიერ შექმნილი მასალების თარგმანი და ქართველი პედაგოგების მიერ მომზადებული ორიგინალური მასალები.


ვებპორტალზე განთავსებულია: ხუთი მასალა ბუნებისმეტყველებაში, აქედან ორი არის ქართველი მასწავლებლების მიერ მომზადებული; ისტორიაში ორი მასალა, ორივე ქართველი მასწავლებლების მიერ მომზადებული; მათემატიკაში ოთხი მასალა, ყველა მათგანი ქართველი მასწავლებლების მიერ შედგენილი; ბუნებისმეტყველებაში ექვსი მასალა - აქედან ორი არის ქართველი მასწავლებლების მიერ მომზადებული; სპორტი - ერთი მასალა, ქართველი მასწავლებლის მიერ მომზადებული; უცხო ენა - ოთხი მასალა, ოთხივე პროექტის მონაწილეების მიერ შექმნილი.

ყველაზე დიდი რაოდენობით გაკვეთილის გეგმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა გამოგზავნეს. ამჟამად ვებგვერდზე განთავსებულია 11 გაკვეთილის გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ყველაზე მეტი მასალა მოამზადეს იტალიური სკოლა „ცისკრის“ პედაგოგებმა.

გაკვეთილები არ მომზადებულა ხელოვნებაში, მუსიკასა და არჩევით საგნებში.

ერთ-ერთმა მასწავლებელმა, რომელმაც გაკვეთილის გეგმა შეადგინა ვებპორტალისათვის, ჩაატარა ღია გაკვეთილი, რომელმაც უმაღლესი შეფასება მიიღო როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან.



პორტალი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა 2015 წლის 24 დეკემბერს. დაინტერესება ძალიან მაღალია. დღესდღეობით უნიკალური ვიზიტორების რაოდენობაა 2827.

